(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია

განხილულია და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 28; 01.12.2022 წ.

უნივერსიტეტის რექტორი

პროფესორი ი. შიოშვილი

თელავი 2022

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარებაში მონაწილეობს ყველა ის მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას.

3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. მოდული - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

5. კრედიტი- ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის

შედეგების მიღწევის შემდეგ“. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ხდება მისანიჭებელი კრედიტის დადგენა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად. თესაუ-ში 1 კრედიტი მოიცავს 25 სთ-ს

6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

7. საბაკალავრო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბაკალავრიატს განმარტავს, როგორც: აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

8. სამაგისტრო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მაგისტრატურას განმარტავს, როგორც: აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს

9. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა – შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს შესაბამისი საგნების/საგნობრივი ჯგუფების მოდულს, მასწავლებლის მომზადების მოდულს, თავისუფალი კომპონენტების მოდულს, სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს და რომლის სწავლის შედეგებიც

შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს; (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა).

10. ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

11. დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს მედიკოსის/სტომატოლოგის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის;

12. სადოქტორო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დოქტორანტურას განმარტავს, როგორც: აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითიკომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

მუხლი 2. კვალიფიკაციების მინიჭების წესი

1. უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს:

- უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს,
- კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

2. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:

ბაკალავრიატში	მაგისტრატურაში	დოქტორანტურაში
ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი-Bachelor of Arts /BA მეცნიერების ბაკალავრი-Bachelor of Science /BSc სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი -Bachelor of Music /BMus ხელოვნების ბაკალავრი-Bachelor of Fine Arts/ BFA ბიზნეს ადმინისტირების ბაკალავრი -Bachelor of Business Administration /BBA ინჟინერიის ბაკალავრი-Bachelor of Engineering /BEng ბაკალავრი- Bachelor	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი -Master of Arts /MA მეცნიერების მაგისტრი-Master of Science /MSc სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი-Master of Music /MMus ხელოვნების მაგისტრი-Master of Fine Arts / MFA ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი-Master of Business Administration /MBA ინჟინერიის მაგისტრი- Master of Engineering /MEng მაგისტრი- Master	დოქტორი PhD/ Doctor

3. უმაღლესი განათლების პირველ და მე-2 საფეხურებზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების მიხედვით.

4. ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება იმ ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგიც დომინირებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

5. კვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

6. კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში.

7. კვალიფიკაცია – „ბაკალავრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

8. კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

9. კვალიფიკაცია – „დოქტორი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფეხურები და შესაბამისი კვალიფიკაციები

1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლას განაგრძობენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

4. ბაკალავრიატი; პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება ბაკალავრის კადემიური ხარისხი.

5. დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს მედიკოსის/სტომატოლოგის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის;

6. განათლების მაგისტრი – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. განათლების მაგისტრის აკადემიურმა ხარისხმა შეიძლება პირს მიანიჭოს მასწავლებლობის უფლება;

7. ვეტერინარიის მაგისტრი – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება;

8. დოქტორანტურა; დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება;

მუხლი 4. უმაღლესი განათლების საფეხურები და მათი მოცულობა

1. ~~1.~~ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს ბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

3. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის განხორციელება დასაშვებია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი უნდა ითვალისწინებდეს დათქმებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შესახებ.
6. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი/სერთიფიკატი სტანდარტული დანართით.
7. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 5 . ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის მიზნები

1. **ბაკალავრიატში** სწავლის მიზანია: სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

2. **მაგისტრატურაში** სწავლის მიზნებია:

ა) შესაბამის ფართო სფეროს/ვიწრო სფეროს /დეტალური სფეროს მიხედვით ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

ბ) სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება. სამაგისტრო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზე ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

3. სადოქტორო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დოქტორანტურას განმარტავს როგორც, „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო

კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით".

- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში". დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების წესების გათვალისწინებით.

მუხლი 6 . ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები

1. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

2. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

3. იმ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლისთვისაც ამ კანონით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. კრედიტების განაწილება

1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ანუ **საბაკალავრო პროგრამის** მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტით და შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

- **სახელმწიფოს მიერ არარეგულირებადი პროფესიებისათვის:**

2. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

3. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

4. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები

სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესიებისათვის:

- საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75 % ეთმობა რეგულირებადი პროფესიებისათვის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს /მოდულებს,.

5. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

6. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. თავისუფალი კომპონენტები შეიძლება ჩაიშალოს: თავისუფალი სავალდებულო (თესაუ-ში 35 კრედიტი ეთობა აკადემიური წერა – 5 კრედიტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში-5 კრედიტი, უცხო ენა -20 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი არაუმეტეს 25 კრედიტისა.

7. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

8. უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ

პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

9. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, სადაც სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, რომელიც სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო პროგრამისათვის, არანაკლებ 30 კრედიტია, ხოლო სასწავლო კომპონენტი - არაუმეტეს 90 კრედიტი

11. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა მოიცავდეს პრაქტიკული კომპონენტსაც.

12. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას მითითებული თანმიმდევრობით:

- **თავფურცელი** *[დანართი №1 შესაბამისად]*
- **ფაკულტეტი:** *[მიუთითეთ ფაკულტეტი, რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას]*
- **დეპარტამენტი:** *[მიუთითეთ ის დეპარტამენტი, რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას]*
- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** *[მიუთითეთ ქართულ და ინგლისურ ენებზე]*
- **პროგრამის ანალოგ(ებ)ი:** *[სასურველია მიუთითოთ, ევროპის, აშშ-ს და მსოფლიოში წამყვან სხვა რომელ უნივერსიტეტში ხორციელდება მსგავსი*

საბაკალავრო / სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამა. სასურველია მიუთითოთ ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ანალოგი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შესახებ. პროგრამაში უნდა ჩანდეს ანალოგების დადარების დოკუმენტი ანალიზის სახით]

- **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** *[მიუთითეთ ვინაობა, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი(მხოლოდ საბაკალავროს შემთხვევაში) ან შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირი.*
- **აკადემიური განათლების საფეხური:** *[ბაკალავრიატი (I საფეხური) / მაგისტრატურა (II საფეხური)/დოქტორანტურა (III საფეხური) / განათლების მიმართულების 300 კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი სამედიცინო, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა და სხვა].*
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** *[ძირითადი, დამატებითი და სხვა]*
- **სწავლების ენა:** *[სწავლების ენა არის ქართული. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა/ენები.]*
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** *[მიუთითეთ ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგი წესის დაცვით:*

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ -ით დამტკიცებული კლასიფიკატორით დადგენილ დეტალური სფეროს პირველ სვეტში, სწავლის შედეგების შესაბამისად, კლასიფიცირებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის სფეროები, დეტალური სფეროს მეორე სვეტში - მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სწავლის სფეროები.

- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** *ბაკალავრიატი – არანაკლებ 240 კრედიტი, მაგისტრატურა – არანაკლებ 120 (გარდა ზემოთხსენებული გამონაკლისების) კრედიტი, დოქტორანტურა – არაუმეტეს 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და 3 წელი, ინტერგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები 300 კრედიტი, დიპლომირებული მედიკოსი – 360 კრედიტი, დიპლომირებული*

სტომატოლოგი/ვეტერინარი – 300 კრედიტი.

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** *[მიუთითეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, საუნივერსიტეტო წესი, ინფორმაცია ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობის შესახებ და კონკრეტული პროგრამის მოთხოვნები(არსებობის შემთხვევაში).*
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** *[პროგრამის მიზანი მიმართული უნდა იყოს სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე.]*
- **სწავლის შედეგი:** *[სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგი უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტს. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და*

შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო აღწერს უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სწავლის შედეგებს 3 კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ცოდნა და გაცნობიერება;

1.1.

1.2. და ა.შ.

2. უნარი

- კურსდამთავრებული იყენებს პროგრამის მსვლელობის პროცესში გამომუშავებულ შემდეგ პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებს:

2.1.

2.2. და ა.შ.

3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა.

2. **სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება სასწავლო კურსებში და სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.**

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები:**
- *[მიუთითეთ, რა ძირითადი მეთოდები/ფორმები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად]*

მაგ. :

☐ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☐ სემინარი ☐ პრაქტიკული მუშაობა

☐ საბაკალავრო ნაშრომი ☐ სასწავლო პრაქტიკა ☐ საშინაო დავალება/რეფერატი

☐ ესე ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. გამოყენებული მეთოდები უნდა იყოს არნიშნული ☒

- **დასაქმების სფერო:** *[მიუთითეთ კურსდამთარებულის შესაძლო დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა]*
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** *[მიუთითეთ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის]*
- **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** *[მიუთითეთ უნივერსიტეტში ფუნქციონირებადი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა აკადემიური საფეხურებისათვის და კონკრეტული პროგრამისათვის სპეციფიკური მოთხოვნები. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის, ასევე მიუთითეთ საბაკალავრო (არსებობის შემთხვევაში) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის შეფასების კრიტერიუმები];*
- **სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** *[მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უჩვენებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.]*
- **სპეციალობის არჩევანი:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ დამატებითი სპეციალობის პროგრამისათვის. გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი სპეციალობის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ II სემესტრის ბოლოს და პროგრამა მუშაობას იწყებს III სემესტრიდან]*
- **სამეცნიერო კვლევის კომპონენტები:** *[აღნიშნული პუნქტი არ ეხება პირველი საფეხურის პროგრამებს]*

- **საორიენტაციო კვლევის თემატიკა:** *[აღნიშნული პუნქტი არ ეხება პირველი საფეხურის პროგრამებს, მოიყვანეთ პროგრამით გათვალისწინებული კვლევის შესაძლო თემატიკის ჩამონათვალი]*
- **სემინარების თემატიკა:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ სადოქტორო პროგრამისათვის. მოიყვანეთ პროგრამით გათვალისწინებული სემინარების შესაძლო თემატიკის ჩამონათვალი]*
- **მისაღები გამოცდის პროგრამა:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ პროფესიული (საჭიროების შემთხვევაში), სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამისათვის. მიუთითეთ შესაბამის სპეციალობაში მისაღები გამოცდის პროგრამაში გათვალისწინებული საკითხები და მათი შესაბამისი ლიტერატურა].*

- <u>**პროგრამასთან უნდა ახლდეს:**</u>

❖ **სასწავლო გეგმა** *[შეავსეთ დანართი 1-ის მიხედვით]*

❖ **სწავლის შედეგების რუქა:** *[შეავსეთ დანართი 2 ის მიხედვით]*

❖ **სწავლის შედეგების <u>შეფასების</u> რუქა:** *[შეავსეთ დანართი 3 ის მიხედვით]*

❖ **მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა:** *[შეავსეთ დანართი 4 ის მიხედვით]*

❖ **სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით** *[შეავსეთ დანართი 5-ის მიხედვით]*

(იმ შემთხვევაში თუ ზემოთ მითითებული დანართები, რაიმე ფორმით ვერ ასახავს პროგრამის საჭიროებებს, შესაძლებელია პროგრამას ახლდეს განსხვავებული ან დამატებითი დანართები)

- **სასწავლო გეგმა** *გასათვალისწინებელია, რომ:*
  - *სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომლებშიც ხდება კრედიტების მინიჭება;*

- *სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობა ჯამში უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას;*
- *ერთმანეთზე დამოკიდებული, ან ერთმანეთთან დაკავშირებული საგნები შესაძლებელია და სასურველია, გაერთიანდეს მოდულში;*
- *კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს;*
- *საათები განაწილებულია სასწავლო კვირების მიხედვით*

- **სასწავლო კურსების სილაბუსები** *[შემუშავებული "სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) სტრუქტურისა და ფორმის " შესაბამისად]*
- **პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის CV** *[თუ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის CV განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მაშინ შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ მისი მისამართი]*
- **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ** *[მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მონაცემები და მათ მიერ წასაკითხი კურსების ჩამონათვალი]*
- **პროგრამის დამტკიცების / განახლების აქტი** *[მიუთითეთ თავფურცელზე]*
- **პროგრამის დამტკიცების, განახლების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი პროცედურების დაცვით:**
  - ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება;
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილება;
  - აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

3. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე** (მაგ. : თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება სტუდენტი; ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის

მოთხოვნებს; ან ფინანსური ან/და სხვა საჭირო რესურსის არარსებობის შემთხვევაში; თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასდა უარყოფითად ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში) **აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოს პროგრამის გაუქმების შესახებ.**

მუხლი 9. პროგრამების დაგეგმვის განხორციელებისა და განვითარების/ცვლილებების ინსტრუქცია

1. **პროგრამის შემუშავების დაგეგმვა ხდება შესაბამის დეპარტამენტში.**

2. **პროგრამის განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები:**

- **შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება;**
- **უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევა და სხვა კვლევით/სასწავლო გარემოში არსებული გამოწვევების გადალახვა;**

3. **პროგრამის ხელმძღვანელი, სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, პროგრამის თვითშეფასების მიზნით, ატარებს კვლევას. კვლევაში მონაწილეობას იღებენ განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაცია, პოტენციური დამსაქმებლები, პოტენციური აბიტურიენტები, სტუდენტები / კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა საჭირო სამიზნე ჯგუფები.**

4. **კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი დეპარტამენტი ხელს უწყობს პროგრამის შემუშავებას ადამიანური და მატერიალური რესურსის გამოყოფით. დეპარტამენტის ინიციატივით, პროგრამა განსახილველად**

გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც, თვის მხრივ, განიხილავს პროგრამის განხორციელების საჭიროებისა და შესაძლებლობის საკითხს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამა რეკომენდაციებისთვის/შეფასებისთვის განიხილება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ , ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, პროგრამა განიხილება აკადემიურ საბჭოზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამტკიცებს მას. აკადემიური საბჭოს დადებით გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამა წარედგინება აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცედურებისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

5. **აკრედიტაციის მიღების შემდეგ პროგრამა ხორციელდება კანონმდებლობის თანახმად.**

6. **პროგრამის მისაღწევი შედეგებისა და მიზნების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამის ნაწილის განხორციელება მოიცავდეს ელექტრონული სწავლებას** – „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება“- (კანონი, მუხლი 2, უ);

7. ელექტრონული სწავლების განხორციელებისას უნდა იყოს დაცული სწავლის ხარისხი და მისაღწევი შედეგები თესაუ-ს ხარისხის შიდა მართვის მექანიზმის გათვალისიწინებით .

8. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი კოორდინირებას უწევს მის მუდმივად განვითარებას: ახალი ლიტერატურით და საგანმანათლებლო/კვლევითი რესურსით გამდიდრებას, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი შესაძლებელია იყოს: როგორც დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები; ისე პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები; საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა.

9. ადმინისტრაცია ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების და განვითარების მხარდაჭერას.

10. პროგრამების შეფასებისთვის ყოველ სემესტრში დგინდება შესაბამისი საჭიროება რის ირგვლივაც იგეგმება შესაბამისი კვლევები კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ნაწილში (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა). პროგრამის შეფასებისთვის საჭირო საკითხებს და შეფასების გეგმას ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველხოფის სამსახური შესაბამისი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით პროგრამის შეფასებას შესაძლებელია მოყვეს შემდეგი რეაგირება:

ა) დადებითი 90-100% შეფასება – ნიშნავს, რომ პროგრამა ეფექტურად ხორციელდება;

ბ) დადებითი 70-89% შეფასება – ექვემდებარება რეკომენდაციებს, რომელთა გასათვალისწინებლად ეძლევათ გონივრული ვადა;

გ) უარყოფითი 50-69% შეფასება – პროგრამა საჭიროებს ძირეულ მოდიფიცირებას და სტუდენტთა მიღების გამოცხადება ჩერდება;

დ) უარყოფითი 50%-ზე ნაკლები შეფასება პროგრამის გაუქმების საფუძველია;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი: ი. შიოშვილი

პროგრამის თავფურცელი

<u>იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</u>

[სახელწოდება] ფაკულტეტის

[საბაკალავრო/ სამაგისტრო/ სადოქტორო/ ერთსაფეხურიანი სამედიცინო/ საბაკალავრო დამატებითი] საგანმანათლებლო პროგრამა:

"[სახელწოდება ქართულად]"
[სახელწოდება ინგლისურად]

ფართო სფერო , ვიწრო სფერო, დეტალური სფერო, კოდიების მითითებით [სახელწოდება]

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: [ვინაობა, აკადემიური ხარისხი/თანამდებობა]

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 202___ წ.

   ფაკულტეტის დეკანი /...../

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 202___ წ.

   უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: /...../

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 202___ წ.

   უნივერსიტეტის რექტორი /...../

თელავი
2022